დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის
24 მარტის N3 დადგენილებით

“საგრანტო კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ”

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ბათუმი,
2017წ

თავი I. გრანტის გაცემის ადმინსტრირების წესი და კომისიის მუშაობის საფუძვლები

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება (შემდგომში - დებულება) არეგულირებს შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმ“-ში (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) სწავლის გაგრძელების სურვილის მქონე განსაკუთრებული ცოდნით და უნარებით აღჭურვილი აბიტურიენტებისათვის შეღავათიანი სწავლის უფლების მოპოვების წესსა და პირობებს.

2. შეღავათიანი სწავლის უფლება გულისხმობს სტუდენტის მიერ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული გრანტის მოპოვებას, რომელიც ათავისუფლებს სტუდენტს სასწავლო უნივერისტეტში სწავლის საფასურის გადახდისაგან შესაბამისი პირობებით.

3. სასწავლო გრანტის გაცემის მიზანია ხელი შეუწყოს განსაკუთრებული ცოდნის მატარებელი პირების დაინტერესება, მიიღონ უმაღლესი განათლება სასწავლო უნივერსიტეტში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებანი

1.ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გრანტი - ამ დებულების მიზნებისათვის, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი პირობებით სტუდენტის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება სწავლის საფასურის გადახდისაგან;

ბ) კონკურსი - ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, თავისუფალი კონკურენციის პრინციპზე დაყრდნობით ჩატარებული პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს საუკეთესო აბიტურიენტის გამოვლენას;

გ) კონკურსის მონაწილე - “გრანტის გაცემის კონკურში” მონაწილე პირი;

დ) გრანტის გამცემი - სასწავლო უნივერსიტეტი შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“;

ე) გრანტის მიმღები - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასწავლო უნივერისტეტში ჩარიცხული პირი;

ვ) საგრანტო კომისია - რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია დაკომპლექტებული სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული პირებითა ან/და მოწვეული სპეციალისტებით.

მუხლი 3. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. გრანტის გაცემის საფუძველია კონკურსის წესით საგრანტო კომისიის მიერ შერჩეულ კონკურსანტებზე გრანტის გაცემა, წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.

2. რექტორის ბრძანებით საგრანტო კონკურსი ცხადდება წელიწადში ერთხელ. საგრანტო კონკურსი შეიძლება გამოცხადდეს ორჯერ ან მეტი ვადით.

3. კონკურსი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) დოკუმენტების მიღება;
გ) დოკუმენტების განხილვა;
დ) გასაუბრება;
ე) გამარჯვებული კონკურსანტი/ების გამოვლენა.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. სასწავლო უნივერსიტეტში საგრანტო კონკურსის განაცხადების მიღებისა და განხილვის, საგრანტო კონკურსში განსაკუთრებული ცოდით აღჭურვილი პირის გამოვლენის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება საგრანტო კომისია (შემდგომში - კომისია).
2. კომისიის შექმნის შესახებ რექტორის ბრძანებით განისაზღვრება კომისიის შექმნის ვადა და მისი შემადგენლობა, მათ შორის სარეზერვო წევრები. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს საქმიანობას კომისიის შექმნის შესახებ რექტორის ბრძანებით დადგენილი წესით.
3. კომისია შედგება მინიმუმ 5 (ხუთი) წევრისაგან.
4. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ თავად კომისიის წევრები შემადგენლობიდან;
5. კომისიის სხდომის ოქმის შედგენას ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მიერ არჩეული ერთ-ერთი წევრი.
6. კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე. არავის აქვს უფლება ჩაერიოს კომისიის საქმიანობაში ან/და მოახდინოს რაიმე ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების მიზნით.
7. საგრანტო კომისია:
ა) ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
ბ) იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის დისკვალიფიკაციის შესახებ;
გ) იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წევრის აცილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
დ)ახორციელებს გასაუბრებას კონკურსანტებთან;
ე) იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენის შესახებ.
8. კომისიის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე.
9. კომისიის წევრთა მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდება წინამდებარე დებულებაზე დანართის სახით თანდართული ფორმით ქულათა მინიჭების გზით.
10. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომლის გაცნობის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს, გარდა კანონით განსაზღვრული პერსონალური ან/და კომერციული ინფორმაციისა.

მუხლი 5. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) უფლებამოსილების ვადის გასვლა;

ბ) შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა სასწავლო უნივერსიტეტთან (თუ კომისიის წევრი არის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში);
გ) კომისიის წევრის განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;
დ) კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა რექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 6. ინტერესთა შეუთავსებლობა

1.საგრანტო კონკურსის ჩატარებისას, კონკრეტული საკონკურსო განაცხადის განხილვაში არ მონაწილეობს კომისიის წევრი თუ:
ა) კონკურსანტი მისი ახლო ნათესავია;
ბ) პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებულია კონკურსანტთან.
2. ამ წესის მიზნებისათვის ახლო ნათესავად ითვლება:
ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
ბ) მეუღლე, მეუღლის პირდაპირი ხაზის ნათესავი და და/ძმა;
გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და/ძმა;
დ) და/ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
3. კომისიის წინაშე აცილების საკითხი შეიძლება დააყენოს ნებისმიერმა კომისიის წევრმა ან კონკურსანტმა. კომისიის წევრი, რომელსაც გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი, ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს თვითაცილების შესახებ შესაბამისი საფუძვლის მითითებით. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი აცილებულად/თვითაცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
4. გადაწყვეტილება აცილების შესახებ მიიღება კომისიის წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ კომისიის წევრთა 1/3-ის.
5. თუ თვითაცილების/აცილების საფუძველზე კომისიის წევრთა რაოდენობა შეადგენს 3 წევრს, მაშინ, კომისიის მუშაობა ჩერდება მანამ, სანამ, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი არ შეარჩევს ახალ კომისიის წევრებს და არ მოხდება კომისიის შერჩევა განსაზღვრულ ოდენობამდე.

მუხლი 7. კომისიის სხდომის ჩატარება და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის მიერ განსაზღვრული კომისიის წევრი. საკითხები კომისიის სხდომაზე განიხილება დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის შედგენასა და კომისიის წევრისათვის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე.
2. სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრი შეიძლება ესწრებოდეს სხდომას უშუალოდ ან მონაწილეობას იღებდეს მის მუშაობაში კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით.

3. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
4. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
5. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გადაეგზავნება რექტორს ამგვარი გადაწყვეტილების მიღებიდან 2(ორი) სამუშაო დღის ვადაში.
6. რექტორი საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას გამარჯვებული კონკურსანტის შესახებ.
7. რექტორის ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ.

მუხლი 8. საგრანტო კომისიის აპარატი

1. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, რექტორის გადაწყვეტილებით, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელთაგან იქმნება კომისიის აპარატი.
2. კომისიის აპარატის საქმიანობის კოორდინაციას უწევს კომისიის თავმჯდომარე.
3. კომისიის აპარატი:
ა) იღებს და რეგისტრაციაში ატარებს კონკურსანტთა დოკუმენტებს;
ბ) საგრანტო კომისიის თავმჯდომარეს გადასცემს მიღებულ დოუმენტაციას;
გ) ასრულებს კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ და ტექნიკურ ფუნქციას.

თავი II
კონკურსის ჩატარების წესი და შეფასების კრიტერიუმები

მუხლი 9. სასწავლო დაფინანსების გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნება

1. სასწავლო დაფინანსების თაობაზე საქმისწარმოების დაწყების საფუძველია კონკურსის გამოცხადება.
2. განაცხადის მიღება დასაშვებია კონკურსის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისთანავე სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სოციალურ საიტზე და სასწავლო უნივერსიტეტში საინფორმაციო დაფაზე.
3. სასწავლო დაფინანსების მოპოვებისათვის კონკურსის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა)საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
ბ) შეფასების კრიტერიუმები;
გ) დაფინანსების ოდენობები;
დ) წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;
ე) განცხადების მიღების დაწყების და დასრულების თარიღი.

მუხლი 10. საკვალიფიკაციო მოთხოვნა

1. დაფინანსების მსურველმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების პრიორიტეტების ჩამონათვალში პირველ ადგილზე მითითების დამადასტურებელი დოკუმენტი (აღნიშნული არ ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე);
ბ) CV ფოტო სურათით, სადაც ასახული იქნება განხორციელებული აქტივობები, უნარები, ჰობი;
გ) ორი სარეკომენდაციო წერილი (რეკომენდატორთა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით), ერთი აუცილებლად კლასის დამრიგებლისაგან;
დ) სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე - (მინიმუმ 300 სიტყვა);
ე) სხვა აქტივობების (ოლიმპიადა, კონფერენცია, პროექტი, მათ შორის სატელევიზიო) დამადასტურებელი დოკუმენტები;
ვ) აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები და გადალახონ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კომპეტენციათა ზღვარი.
4. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნდა განხორციელდეს მიღებული განათლების აღიარება.
5. დაფინანსების კონკურსში გამარჯვებულ აბიტურიენტებზე გაიცემა საგრანტო სერთიფიკატი, სადაც ასახული იქნება აბიტურიენტის მიერ მოპოვებული დაფინანსების ოდენობა. სერთიფიკატი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც აბიტურიენტი ჩაირიცხება სასწავლო უნივერსიტეტში.

მუხლი 11. საგრანტო განცხადებების შეფასების კრიტერიუმები

1. კომისია საგრანტო განცხადებების შეფასებისას ხელმძღვანელობს წინამდებარე წესში მითითებული კრიტერიუმებით.
2. კომისიის წევრი კონკურსანტს აფასებს პირველ ეტაპზე 50 (ორმოცდაათ) ქულიანი სისტემით.
3. საგრანტო განცხადებების შეფასების კრიტერიუმებია:
ა) ორი სარეკომენდაციო წერილი - 5-5 (ხუთი) ქულა, სულ 10 ქულა;
ბ) სამოტივაციო წერილი - 10 (ათი) ქულა;
გ) სხვა აქტივობები (ოლიმპიადა, კონფერენცია, პროექტი, მათ შორის სატელევიზიო) - 15 (თხუთმეტი) ქულა;
დ) აკადემიური მოსწრება ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით პროფილურ საგნებში (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა და ინგლისური) – მაქსიმუმ 15 ქულა, რომელიც გადანაწილდება შემდეგი სახით:
შეფასება „6“ – 0,5 ქულა;
შეფასება „7“ – 1 ქულა;
შეფასება „8“ – 1,5 ქულა;
შეფასება „9“ – 2 ქულა;
შეფასება „10“ – 3 ქულა;
4. კომისია კონკურსანტს აფასებს მეორე ეტაპზე გასაუბრებით 50 (ორმოცდაათ) ქულიანი სისტემით;

5. გაიცემა 30%, 40% და 50% გრანტი. იმისათვის, რომ კონკურსანტმა მოიპოვოს გრანტი, პირველ და მეორე ეტაპზე ერთად ჯამში უნდა დააგროვოს შემდეგი ქულები:
ა) 30% გრანტის მოპოვებისათვის მინიმუმ 50-70 ქულა;
ბ) 40% გრანტის მოპოვებისათვის მინიმუმ 71-80 ქულა;
გ) 50% გრანტის მოპოვებისათვის მინიმუმ 81-100 ქულა.

მუხლი 12. საგრანტო განაცხადის გამოვლენა

1. კონკურსანტთა მხრიდან დადგენილ ვადაში დოკუმენტების წარდგენის შემდგომ, კომისია იწყებს განსახილველად მიღებული საგრანტო წინადადების დეტალურ შესწავლას და შეფასებას. შეფასება ხორციელდება კომისიის ყველა წევრის მიერ ცალ-ცალკე, ამ დებულებით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით და საბოლოო ქულა თითოეული კონკურსანტისათვის გამოითვლება კომისიის წევრების ქულათა საშუალო არითმეტიკულით (იხ. დანართი №1 და დანართი №2).
2. საგრანტო კონკურსის შედეგების შესახებ საჯაროდ ქვეყნდება ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 12[1]. გრანტის მოქმედებისა და გაუქმების საფუძვლები

1. სტუდენტზე გაცემული გრანტის მოქმედება დამოკიდებულია საშუალო სემესტრული შეფასების მაჩვენებელზე (GPA), გარდა პირველი აკადემიური წლის პირველი სემესტრისა.
2. გაცემული გრანტის მოქმედება ასევე დამოკიდებულია გრანტის მიმღების აქტივობაზე. გრანტის მიმღები ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.
3. გრანტის მიმღები სტუდენტის საშუალო სემესტრული შეფასების მაჩვენებელი (GPA) უნდა იყოს 81 (ოთხმოცდაერთი) ქულა ან მეტი.
4. პირველ აკადემიურ წელს სტუდენტზე გრანტი გაიცემა პირველი სემესტრის GPA-ი მაჩვენებლისაგან დამოუკიდებლად.
5. მესამე სემესტრისათვის გრანტის გაცემა დამოკიდებული იქნება პირველი აკადემიური წლის II სემესტრის შეფასების საშუალო მაჩვენებელზე (GPA), რომელიც უნდა შეადგენდეს 81 (ოთხმოცდაერთი) ქულას ან მეტს.
6. ყოველი შემდგომი სემესტრის გრანტის გაცემა დომოკიდებული იქნება წინა სემესტრის GPA მაჩვენებელზე, რომელიც ასევე უნდა შეადგენდეს 81 (ოთხმოცდაერთი) ქულა ან მეტი.
7. სტუდენტს მოეხსნება გრანტი, ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში. გრანტის მოხსნის შემდგომ სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს მიმდინარე აკადემიური სემესტრის სწავლის საფასური რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში.

8. გრანტის მოხსნის საფუძველია ასევე გრანტის მიმღების მიერ დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევა. გრანტის აღდგენა დამოკიდებულია დისციპლინური სახდელის გაქარწყლება/ვადაზე ადრე მოხსნაზე.
9. გრანტის აღდგენა სტუდენტს შეუძლია მომდევნო სემესტრიდან, თუ მისი საშუალო სემესტრული შეფასება (GPA) იქნება 81 (ოთხმოცდაერთი) ქულა ან მეტი. თუ გრანტი მოიხსნა დისციპლინური გადაცდომის ან აქტივობებში მონაწილეობის მიუღებლობის გამო, გრანტი აღუდგება თუ მან თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისიერმა სტუდენტმა, არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და აქტიურად მიიღო მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ აქტივობებში. სტუდენტს მომდევნო სემესტრში გრანტი აღუდგება იმ ოდენობით რა ოდენობითაც ფლობდა მანამდე.

მუხლი 13. გასაჩივრება

1. გრანტის გამცემი კომისიის ნებისმიერი ქმედება ან/და გადაწყვეტილება საჩივრდება მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში სასამართლოში.

მუხლი 14. დებულებაში ცვლილება/დამატების განხორციელება

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილება/დამატება განხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ.

დანართი №1

	სახელი გვარი	ორი სარეკომენდაციო წერილი	სამოტივაციო წერილი	სხვა აქტივობა	აკადემიური მოსწრება	გასაუბრება	შემფასებლის კომენტარი
1							
2							
3							
4							
5							

კომისიის წევრის სახელი გვარი/ხელმოწერა

დანართი №2

კონკურსანტთა შეფასების ჯამური ფორმა

	კონკურსანტთა სახელი გვარი	კომისიის წევრთა სახელი გვარი	კომისიის წევრთა სახელი გვარი	კომისიის წევრთა სახელი გვარი	კომისიის წევრთა სახელი გვარი	კომისიის წევრთა სახელი გვარი	შეფასების საშუალო არითმეტიკული
1.							
2.							
3.							
4.							
5.							

კომისიის თავმჯდომარის სახელი გვარი /ხელმოწერა